

ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინაციის შესახებ 5 წლამდე ასაკის
ბავშვების მშობლების ინფორმირებულობის დონის შეფასება,
საქართველოში

ეკატერინე სარიშვილი

*„სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად“*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე,

ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტი

თბილისი,

2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამსაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე სარიშვილი

15/06/2023

აბსტრაქტი

ვაქცინაციის შესახებ მშობელთა ინფორმირებულობის შეფასება უმნიშვნელოვანესია იმუნიზაციის მოცვის მაღალი მაჩვენებლისათვის. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, რომელიც ჩატარდა საქართველოში ჩუტყვავილას ვაქცინაციის შესახებ 5 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლების ინფორმირებულობის დონის შესაფასებლად. კვლევა მიზნად ისახავდა ცოდნის ხარვეზების იდენტიფიცირებას, ცნობიერებაზე გავლენის ფაქტორების შესწავლას და მშობელთა ინფორმირებულობისა და ვაქცინაციის მაჩვენებლების გაუმჯობესების რეკომენდაციების მიწოდებას.

საქართველოში მცხოვრები 5 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს ჩაუტარდათ გამოკითხვა დახურული კითხვარის გამოყენებით. კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ კითხვარს, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე, დემოგრაფიული ინფორმაციის, ჩუტყვავილას ვაქცინაციის ინფორმირებულობის, ინფორმაციის წყაროების, ვაქცინაციისადმი დამოკიდებულებისა და ვაქცინაციაზე გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის ფაქტორების შესახებ. კვლევის შედეგების ფართო ვარიაციისთვის კვლევაში ჩართული იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლები. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ ჩუტყვავილას ვაქცინაციის შესახებ მშობლების ინფორმირებულობაში მნიშვნელოვანი ხარვეზები აღინიშნება. გამოვლინდა შეზღუდული ცოდნა ვაქცინაციის მნიშვნელობის, რეკომენდებული ვაქცინაციის გრაფიკისა და ჩუტყვავილასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მშობლების ინფორმირებულობაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა განათლების დონე და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა. კვლევის შედეგებიდან აღსანიშნავია რომ კვლევაში მონაწილეების უმრავლესობას კერძოდ კი 85%-ს აქვს სურვილი რომ ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინა დაემატოს საქართველოს პროფილატიკური აცრების ეროვნული კალენდარში. აუცილებელია ცნობიერების ამაღლება ჩუტყვავილის ვაქცინის მოცვის მაჩვენებლების გასაზრდელად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჩუტყვავილა, ვაქცინაცია, მშობლები, ინფორმირებულობა, საქართველოს პროფილატიკური იმუნიზაციის ეროვნული კალენდარი.

Abstract

Assessment of parental awareness of vaccination is crucial for high immunization coverage rates. This paper presents a study conducted in Georgia to assess the level of awareness of parents of children under 5 years of age about chickenpox vaccination. The study aimed to identify knowledge gaps, explore factors influencing awareness, and provide recommendations for improving parental awareness and vaccination rates.

Parents of children under 5 years living in Georgia were surveyed using a closed questionnaire. The study included a quantitative questionnaire that provides information on demographic information, awareness of chickenpox vaccination, sources of information, attitudes toward vaccination, and factors influencing vaccination decision-making. Parents of children under 5 years of age from different regions of Georgia were included in the study for a wide variation of the research results. Based on the obtained results, we can conclude that there are significant gaps in parents' awareness of chickenpox vaccination. Limited knowledge of the importance of vaccination, the recommended vaccination schedule, and the potential risks associated with chickenpox was identified. It was found that parents' awareness is influenced by factors such as education level and availability of health services. From the results of the study, it should be noted that the majority of the parents participating in the study, in particular 85%, have the desire for the chickenpox vaccine to be added to the national calendar of prophylactic vaccinations in Georgia. Raising Awareness is essential to increase coverage rates of chickenpox vaccine.

Keywords: chickenpox, vaccination, parents, awareness, national prophylactic immunization calendar of Georgia.

მადლობა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში არა ერთმა ადამიანმა გამიწია დახმარება, რომელთაც მინდა მადლობა გადავუხადო.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს ქალბატონ ირმა ბურჯანაძეს რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და მძლევდა შესაბამის უკუკავშირს.

და ბოლოს, მადლობას ვუხდის ჩემს ოჯახს და განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს სედრიკ ლეტერმეს ნაშრომზე მუშაობის პროცესში უწყვეტი მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის.